GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 157
თარიღი: 17 07 2015 5

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010187328322615

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40- 51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5523

14 / ივლისი / 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
(GRASS) წარმომადგენლს,
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №27, ბინა №1

ბატონო პაატა,

2015 წლის 29 ივნისის №240 განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/11306; 02.07.2015) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების შინაარსის შესახებ ინფორმაცია მთავრობისათვის ცნობილი ხდება მას შემდეგ, რაც ევროპული სასამართლო, რეგლამენტის 54 ე წესის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას გამოუგზავნის შეტყობინებას კონკრეტული საჩივრის განხილვის დაწყების თაობაზე (ე.წ. კომუნიკაცია).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენთვის ცნობილია იმ საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ, რომელთა განხილვა დაიწყო ევროპულმა სასამართლომ და, შესაბამისად, ამის შესახებ ეცნობა საქართველოს მთავრობას როგორც მოპასუხე მხარეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით საქართველოს მთავრობასთან 2013-2015 წლებში კომუნიცირებულ იმ საჩივართა ნუსხას, რომლებიც ეხება სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების უფლებების სავარაუდო დარღვევას:

საჩივარი	თარიღი, როდესაც მოხდა გასაჩივრებული სავარაუდო ფაქტი	საჩივრის წარდგენის თარიღი	საჩივრის მთავრობასთან კომუნიცირების თარიღი	კონვენციის გასაჩივრებული მუხლი
თედლიაშვილი	2011 წლის 30 აპრილი	2014 წლის 17 სექტემბერი	2014 წლის 1 დეკემბერი	მე-2 და მე-13 მუხლები

საქართველოს წინააღმდეგ				
ჩიჩუა საქართველოს წინააღმდეგ	2012 წლის 23 მაისიდან 2012 წლის 25 აგვისტომდე	2014 წლის 16 სექტემბერი	2014 წლის 1 დეკემბერი	მე-3 და მე-13 მუხლები
ვახტანგ მაისაია საქართველოს წინააღმდეგ	2009 წლის 8 მაისიდან - 23 ივნისი და 2010 წლის 24 აგვისტო	2014 წლის 26 ნოემბერი	2015 წლის 15 იანვარი	მე-3 მუხლი
მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	2012 წლის 29 აგვისტო	2015 წლის 11 მარტი	2015 წლის 6 მაისი	მე-3 მუხლი

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობას ევროპული სასამართლოდან არ მიუღია შეტყობინება არცერთ საჩივართან დაკავშირებით, რომლებიც ეხება 2013-2015 წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს. ასევე, 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე მთავრობას, წინა პერიოდისგან განსხვავებით, არც ერთხელ არ დაკისრებია დროებითი ღონისძიება, ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად.

აქვე მოგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ საჩივრებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება არ არის გამოტანილი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი
(საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

თამთა ფეტვიაშვილი